ხელშეკრულება N-80

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი -18- დეკემბერი 2017წ.

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით და მეორეს მხრივ შპს"ტელკო სისტემს", (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით,, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 3 მუხლის პირველი „ს[1]“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **საბიუჯეტო** სახსრებით, 1.2 მუხლით განსაზღვრული საგნის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესამაბიმისად:

1.2.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	CPV კოდი
(2 პორტიანი RJ45 გამანაწილებელი კოლოფი) Keystone jacks for 2 port RJ45 UTP cat 5473 (Outlet)	50 ცალი	6.30	31310000
(ჭანჭიკების,ქანჩების და პლასტიკური შაიბების კომპლექტი(10ცალი/შეკვრაში)JD01B cage nut set (10 per package)	6 ცალი	5.60	44531400

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. საქონლის და შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 348.60 (სამას ორმოცდარვა ლარი და 60 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვების ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების თარიღია - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 21 დეკემბრამდე.

მუხლი 5. შესყიდვების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ კომპიუტერული ქსელის სისტემების და Cisco-ს აკადემიის ადმინისტრატორი მიხეილ სამხარაძე.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქართველოს ეროვნული ვალუტაში (ლარი).

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველს მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადგენილ ვადაში შესრულება.

7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების განსაზღვრული საქონლის მიწოდება უნაკლოდ, თუკი საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოსწოროს ეს ნაკლი.

8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ კომპიუტერული ქსელის სისტემების და Cisco-ს აკადემიის ადმინისტრატორი მიხეილ სამხარაძე.

8.6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.7. საქონლის მიღებისა ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნივთის ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
8.8. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
8.9. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.10. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, საქონელი მისი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს. ამ ვადის განმავლობაში საქონლის მიერ დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.11. მხარეები თანხმდებიან, რომ საქონლის ნორმალურ ექსპლუატაციად ითვლება მისი გამოყენება დასაქმებულის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებისას
8.12. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% -ის ოდენობით.
8.13. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.14. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 30 იანვრისა.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო ფუნქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც არ გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს სათანადო შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

13.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

13.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები :

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ს/კ 205339944 მის: ქ. თბილისი ფანჯიკიძის ქ. N1ა სახელმწიფო ხაზინა კოდი:TRESG22 ანგ. N302009921	შპს „ტელკო სისტემს“ ს/კ 205203279 მის: თბილისი ნუცუბიძის ქ.221 კორპ. 1ა, ბ. 33 თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22 ანგ. GE75TB4021536020100006
დირექტორი: მამია ჯანჯალია ----------	დირექტორი: ირაკლი გულიაშვილი ----------